პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, გაეროსა და ევროკომისიის მიგრაციისა და განვითარების ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში

## „ქართული დიასპორა ქუთაისის განვითარებისათვის“

ქართული დიასპორა ჰოლანდიაში

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობა

ქუთაისის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა

პროექტის ხანგრძლივობა: 1 ოქტომბერი 2009 – 31 მარტი 2011

პროექტის მიზანი: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

XX საუკუნის 90–იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო მიგრაციის ქაოტური პროცესი. “ტვინების გადინების” პროცესმა მნიშვნელოვნად შეანელა ქვეყნის განვითარების პროცესები. მიუხედავად მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებებისა, რომელიც მოხდა ქვეყანაში ბოლო წლებში, მცირე და საშუალო ბიზნეს–სექტორი ჯერ ისევ არ არის კარგად განვითარებული და გამართულად ვერ ფუნქციონირებს. გამოცდილების, ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიებზე მისაწვდომობის სიმცირე არის მნიშვნელოვანი ბარიერი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში.

სიტუაციიდან გამომდინარე, ქართულმა დიასპორამ ჰოლანდიაში, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსთან პარტნიორობით გადაწყვიტა განახორციელოს პროექტი, რომლის მიზანია “ტვინების გადინების” პროცესი შეიცვალოს “ტვინების მოზიდვის” პროცესით და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის გამოყენებული იქნას მიგრანტთა შესაძლებლობები.

პროექტის პარტნიორები არიან: ჰოლანდიის სავაჭრო–სამრეწველო პალატა; ტილბურგის უნივერსიტეტი; აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი; ბიზნესის სკოლა “De Rooi Pannen”; ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობა და ქუთაისის რეგიონალური სავაჭრო–სამრეწველო პალატა.

პროექტის მიზანია შეიქმნას გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით მოახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას და ამ სფეროში დასაქმებულთა პროფესიულ განათლებას და გადამზადებას.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, გაეროსა და ევროკომისიის მიგრაციისა და განვითარების ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში

## „ქართული დიასპორა ქუთაისის განვითარებისათვის"

პროექტის შედეგები:
ჩვენ მიზნად ვისახავთ საქართველოში განვითარების პროცესების ხელშეწყობას მეწარმეობის განვითარების გზით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში. ჩვენ გვინდა ავამაღლოთ ქართველი მეწარმეებისა და ამ სფეროში დასაქმებულთა პროფესიონალური განათლების დონე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და საქმიანობების პაკეტს:

- მიგრანტთა მონაცემთა ბაზის შექმნა მათი პროფესიონალური საქმიანობის სფეროების მიხედვით. ეს ბაზა ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის და ხელს შეუწყობს ადგილობრივებსა და მიგრანტებს შორის ურთიერთობების გაძლიერებას

- სპეციალური პროფესიული სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ბიზნესის მესაკუთრეებისათვის

- სპეციალური პროფესიული სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება მცირე და საშუალო ბიზნესში მომუშავე პერსონალისათვის

- ინტერნეტ პორტალის შექმნა სადაც ჰოლანდიელი/ევროპელი და ქართველი მეწარმეები შეძლებენ ცოდნისა და გამოცდილების გაცვლას და ასევე ერთობლივი პროექტების მომზადებას

- ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრის შექმნა ქუთაისში, რომელიც დახმარებას გაუწევს როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ მეწარმეებს.

- ჰოლანდიელი და ქართველი ბიზნესმენების მონაწილეობით ტელე-ხიდის ორგანიზება, სადაც მოხდება წარმოებული პროდუქციის პრეზენტაცია.

- პრაქტიკული სწავლებების და შეხვედრების ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართული დიასპორის წარმომადგენლები ასევე ჰოლანდიელი ექსპერტები.